572
1950

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლილა

„აუკავდი, ტურფა ქეციანავ,
ილსინე, ქართველთ მსარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
საძმობლო გაახარეო!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი **უჩა ჯაფარიძისა**

ალექსანდრე სუვოროვი

საბჭოთა კავშირის ხალხმა წელს მაისში აღნიშნა დიდი რუსი მხედართუფროსის ალექსანდრე სუვოროვის გარდაცვალებიდან ასორმოცდაათი წლისთავი.

ალექსანდრე სუვოროვი დაიბადა ქ. მოსკოვში 1730 წელს. პატარაობისას სუვოროვი საკვირველი ნიჭის ყმაწვილი იყო: ადვილად შეისწავლა დედაენა, უცხო ენები და მამის ბიბლიოთეკაში ძლიერ ბევრ წიგნებს კითხულობდა; განსაკუთრებით ისეთი ამბები უყვარდა, სადაც სახელოვანი სარდლების ცხოვრება და გმირობა იყო აღწერილი. ასეთმა წიგნებმა ბავშვი თანდათან ისე გაიტაცა, რომ დღე და ღამე ოცნებობდა სამხედრო სამსახურზე, მაგრამ თითქოს განგებ, პატარა ალექსანდრე მეტად სუსტი ჯანმრთელობისა და უსუსური შესახედაობისა იყო, ამიტომ მამამისი უკრძალავდა ბავშვს სამხედრო სამსახურზე ეფიქრა:

— სად შეგიძლია ჯარისკაცობა, თოფსაც ვერ მოერევი! — ეტყოდა ხოლმე შვილს.

პატარა ალექსანდრეს მამა ძლიერ უყვარდა, არ უნდოდა მისი წყენა და ჩუმად კითხულობდა საყვარელ წიგნებს ომების შესახებ. თანაც ავარჯიშებდა თავის სხეულს, რომ ღონე მომატებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9828

თორმეტი წლისა რომ გახდა სუვოროვი, მამამისმა ნება დართო სამხედრო სამსახურში ჩარიცხულიყო. თითქმის ათ წელიწადს იყო იგი ჯარისკაცად და წესრიგს სანიმუშოდ ასრულებდა: „იყავ კარგი ჯარისკაცი, თუ გინდა, რომ კარგი გენერალი დადგეო,"—იტყოდა ხოლმე. შრომას ბავშვობიდან შეეჩვია, თავისი ხალხის ხასიათი და ბუნება კარგად შეისწავლა და ეს თავის სახელოვან ბრძოლებში ძლიერ გამოადგა.

სუვოროვმა, რიგითი ჯარისკაციდან დაწყებული—გენერალისიმუსის წოდებამდე, ორმოცდაათი წლის განმავლობაში ოცი ლაშქრობა ჩაატარა, სამოცდაექვს ბრძოლაში მონაწილეობდა და ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა.

ალექსანდრე სუვოროვი მონაწილეობდა შვიდწლიან ომში პრუსიის წინააღმდეგ, ებრძოდა თურქებს დუნაიზე, სადაც რვაათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით დაამარცხა თურქთა ორმოციათასიანი ლაშქარი. შემდეგ კი თურქები ყირიმიდან და ყუბანიდანაც განდევნა.

სუვოროვის ჯარმა თითქმის მთელი ჩრდილოეთ იტალია გაანთავისუფლა ფრანგებისაგან და როცა მიიღო ბრძანება შვეიცარიაში გადასულიყო, მძიმე საჭურველიანად გადალახა ალპების ციცაბო და ყინულოვანი მწვერვალები. „სადაც ირემი გაივლის, იქ რუსი ჯარისკაციც გაივლის, სადაც ირემი ფეხს ვერ მოიკიდებს, იქ რუსი ჯარისკაცი მაინც გაივლის!"—ამხნევებდა თავის ჯარს და ჯარისკაცებიც თავს არ ზოგავდნენ, ერთგულად ასრულებდნენ საყვარელი სარდლის ყოველ ბრძანებას; ერთხელ, როცა მტერმა ღრმა და ვიწრო ხეობაში კლდიდან კლდეზე გადებული ხიდი დასწვა, სუვოროვის ჯარისკაცები არც ჩასაფრებულ მტერს და არც აქაფებულ ჩანჩქერებს არ შეუშინდნენ,—ქამრებით შეჰკრეს ხელები, ხიდათ გადეს და ასე გავიდნენ.

მთელ ქვეყანაზე გაითქვა სუვოროვის სახელი, როდესაც მან მიუვალი ციხე-ქალაქი „იზმაილი" აიღო. იზმაილი დუნაის პირზე იყო ქვიტკირით აშენებული და შიგ ორმოციათასი თურქი მეომარი ორასორმოცდაათი ზარბაზნით იდგა მცველად, სუვოროვს კი ოცდახუთიათასი კაცი ჰყავდა.

ამ ციხის იერიშისათვის სუვოროვი გულმოდგინეთ მოემზადა; თავის ჯარს სწორედ ისეთი ჯებირები და თხრილები გააკეთებინა, როგორც იზმაილის ციხეს ჰქონდა, და ღამ-ღამობით თვითონ ასწავლიდა ჯარისკაცებს თხრილებზე გადასვლას და ხიშტით იერიშს.

ბოლოს მისწერა თურქებს: „ჩემი ჯარით მოვედი. ოცდაოთხ საათს გაძლევთ მოფიქრებისათვის... პირველი გასროლით თავისუფლებას მოგისპობთ, ხოლო იერიში სიკვდილია!"

თურქებმა უპასუხეს: „უფრო ადვილად შეიძლება ცა დაეშვას დედამიწაზე და დუნაი უკუიქცეს, სანამ იზმაილი დაგმორჩილდესო."

მაშინ აგუგუნდნენ რუსთა ზარბაზნები, ქვეითი ჯარი იერიშზე გადავიდა და იზმაილი ერთ დღეში დანებდა სუვოროვს.

მრავალ ასეთ გმირობას მოგვითხრობს სუვოროვის ცხოვრება. მტერთან შეუპოვარი, მეფის მედიდურ მოხელეებთან შეურიგებელი და თავის ხელქვეითებთან თავმდაბალი მხედართუფროსი ალექსანდრე სუვოროვი სამაგალითო რუსი ადამიანი იყო.

ჩვენს ქვეყანაში სუვოროვის სახელს ატარებს მრავალი სამხედრო სასწავლებელი. იქ, მოსწავლე სუვოროველები ეუფლებიან ახალ, ძლევამოსილ სამხედრო მეცნიერებას, არიან სამაგალითო ყოფაქცევისა, ამტანები და გამბედავები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

ნახატი ვ. ტოროტაძისა

ჩვენი მეგობრები

(პარტიზანის მოგონება)

მოებში ლაშქრობას მცირეწლოვანი პარტიზანები ადვილად შეეჩვივნენ. ისინი ქურციკებივით ხტოდნენ კლდოვან ბილიკებზე და შესანიშნავი ტეკავშირეებიც იყვნენ.

როცა კოვპაკის რაზმი ბრიანსკის ტყეში იდგა, ჩვენთან, სოფელ ვარგოლიდან მოვიდა თოთხმეტი წლის ვასია მიროშკინი, **რომლის** დედ-მამა ფაშისტ გერმანელებს ჩამოესრჩოთ. ამ საზარელი სურათის დამსწრე ბავშვს იმ წუთშივე შურისძიების გრძნობა აღძროდა, მაგრამ როგორ მოეხერხებინა და ეძია შური ვერაგ მტერზე,—არ იცოდა. გაიგო თუ არა ბრიანსკის ტყეში პარტიზანებიაო, ვასიამ მოირბინა ჩვენთან და რაზმში ჩაწერის სურვილი განაცხადა. მიროშკინი მიიღეს რაზმში. მე იგი ასეულის მეკავშირედ ავიყვანე. გაბედული, ჭკვიანი და მარდი ბიჭი იყო ვასია, თანაც—ძლიერ ჯანმრთელი. მას პუტივლელმა გლეხმა ბაჩა ცხენი აჩუქა. ამ ემაწვილს ნაჩუქარ ცხენზე არ ეძინა, თორემ დანარჩენ დროს სულ ზედ იჯდა.

,,ვასიას რაში დღეღამეში სამ კილომეტრს გადისო",—დაცინვით ამბობდნენ მისი ტოლები.

,,ცხენი კი არა, ნამდვილი ტანკიაო",—ვასიას გასაგონად იძახდნენ ბავშვები. ასეთ წამოძახილებს მიროშკინი ყურადღებას არ აქცევდა. თუ ვინიცობაა პატარა მეგობრები თავისი ხუმრობით თავს მოაბეზრებდნენ, ის ცხენიდან გადმოხტებოდა:

,,ასეთ ცხენებს სახლში დაბმულს ბევრს დატოვებდითო."

მიროშკინი უფროსების რჩევა-დარიგებას მუდამ გულისხმიერად ეკიდებოდა, დავალებას ზუსტად და დროულად ასრულებდა. არ მახსოვს შემთხვევა, რომ მას ჩემი დავალება არ შეესრულებინოს. ცეცხლში გაძვრებოდა და დაბარებულ სიტყვას ადგილზე მიიტანდა.

ხშირად მეტყოდა ხოლმე ვასია: ,,აქსანაგო უფროსო! დროა მეავტომატეთა რიგებში ჩამრიცხოთო". თავის ცხენის შესახებ ამბობდა: ,,ეს ცხენი პუტივლში პატრონს უნდა მიეგვარო".

არ დასცალდა პატარა ბიჭს პუტივლში დაბრუნება. ის ერთ-ერთ გააფთრებულ ბრძოლაში მოვალეობის შესრულების დროს გმირულად დაიღუპა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქვე მინდა მოვიგონო ის ჰატარა მებრძოლები, რომლებიც ჩვენს შენაერთში ირიცხებოდნენ.

დილით ადრე, ჩვენი ჰატარა მეკავშირეები ხელისელჩაკიდებულები, ქრიამულით გარბოდ-გამორბოდნენ გორაკების ყვავილოვან კალთებზე, შვლის ნუკრებივით დახტოდნენ ციცაბო კლდეებზე, მღეროდნენ და კისკისებდნენ, მაგრამ ისიც ხდებოდა, რომ ხანდახან ჩხუბი მოუვიდოდათ და სიცილი ტირილად შეეცვლებოდათ ხოლმე. ჰატარა „ივან კუზმიჩი" დაეტაკებოდა კოლია ჩეჩეტკინს, გამოსდებდა სარმას და ორივე ბეჭებით მიწაზე დააწვენდა. ამას მოსდევდა აყალმაყალი და ხანდახან მუშტებზეც მიდგებოდა საქმე, მაგრამ მეგობრები ისევ მალე შერიგდებოდნენ ხოლმე. „ივან კუზმიჩი" და კოლია ჩეჩეტკინი კვლავ ერთად დახტოდნენ და ყირამალა გადადიოდნენ. ბავშვები იქ, ბოთაში არხეინად გრძნობდნენ თავს და ჩვენსავით ბარში ჩამოსვლაზე როდი ოცნებობდნენ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ნადარეიშვილი

ნახატი პ. დათიკაშვილისა

და-ძმა

არჩილი მზიას ძმა არის,
დაზე ერთი წლით დიდია,
დილაადრიან სკოლაში
და-ძმანი ერთად მიდიან.

ალმზრდელი მასწავლებლები
მზიას უქებენ ქალობას:
მთელი წლის განმავლობაში
მხოლოდ „ხუთებზე“ სწავლობდა!

სახელს არც ახლა შეირცხვენს,
კითხვებს პასუხობს თამამად.
მზია ბეჯითი გოგოა,—
კლასიდან კლასში გადავა.

მაგრამ არჩილი რას იზამს,
ნუთუ გააცდენს წელიწადს?!
მაშ რა ეგონა, ბზრიალას
რომ არ უშვებდა ხელიდან...

ერთი წლის უქმად გაცდენა
განა ადვილად ითქმება?!
ერთ წელიწადში ქარხნებში
მრავალი დაზგა იქმნება.

ერთ წელიწადში ქალაქად
ათასი სახლი შენდება,
მოედნები და ქუჩები
ალვის ხეებით მშვენდება.

ერთ წელიწადში მამილო
ხუთწლიან გეგმას ასრულებს,
ელექტროსადგურებისთვის
გლინავს ფოლადის მავთულებს.

ერთ წელიწადში მზიაც ხომ
სწავლაში წამოეწევა,
ერთ კლასში რომ იქნებიან,
ნახეთ არჩილის შერცხვენა.

მზიას სუყველა შეაქებს,
არჩილს ზედ არვინ შეხედავს;
ეს მარტო არჩილს კი არა,
ზარმაცებს ყველას ეხება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ოქროპირიძე

ნახატი გ. ჩიჩინაშვილისა

სახლი დაიძრა

გიგლა და ნოდარი ერთ სახლში ცხოვრობენ; პიონერთა ბანაკშიც ერთად გაემგზავრნენ. ქალაქიდან რომ მიდოდნენ, მაშინ მათ ქუჩაზე ძველ შენობებს ანგრევდნენ, განიერდებოდა და ლამაზდებოდა მათი ვიწრო უბანი. ნოდარი გულდამშვიდებული გაემგზავრა, რადგან მამამ უთხრა რომ მათს სახლს არ დაანგრევდნენ.

გავიდა ხანი. მეგობრები ბანაკიდან დაბრუნდნენ; აი, მათი ქუჩაც; განიერი, სუფთა, გაშლილი. თვალებგაბრწყინებული ნოდარი და გიგლა ხელიხელგადახვეულნი მოდიან ახალ ქუჩაზე და უხარიათ.

— საკვირველია!—ჩურჩულებენ ბავშვები. — თითქოს მიწიდან ამოძვრნენ ეს უშველებელი ახალი სახლებიო!..

— აგერ, ჩვენი სახლიც! — წამოიძახა გიგლამ. ნოდარმა სიხარულით გახედა ნათელფანჯრებიან შენობას, შემდეგ თვალი მოავლო მის ირგვლივ მოფუსფუსე მუშებს და შეკრთა:

— გიგლა, ეს რა ამბავია? ჩვენს სახლს რას უპირებენ?

ბავშვებმა ფეხს აუჩქარეს.

ირგვლივ ექსკავატორების და სატვირთო მანქანების გამაყრუებელი ხმაური ისმოდა.

გიგლამ თვალი მოავლო იქაურობას და ჩაიბუტბუტა:—ალბათ ჩვენი სახლიც უნდა დაანგრიონ. ბავშვებმა კიბე აირბინეს. ნოდარს დედა ალერსით შეეგება, პატარა ნანა გამოცქრიალდა და ძმას ხელები გაუწოდა. სამუშაო ოთახიდან მამაც გამოვიდა და ნოდარი სიყვარულით მოიკითხა:

— როგორ იმგზავრე, შვილო?

— კარგად! — მოკლედ მოუჭრა ნოდარმა.

—რაღაც უგუნებოდ უნდა იყო?!—შეეკითხა მამა.

ნოდარმა მამას შეხედა და ხმის კანკალით უთხრა:

—შენ მითხარი, რომ ჩვენს სახლს არ დაანგრევენო... ახლა კი ჩვენს სახლს შემოსევიან მანქანები!

მამამ აუხსნა ნოდარს: — ხედავ, ჩვენი სახლი ბევრად წინ არის წამოწეული, მისი დანგრევა არ შეიძლება, რადგან დიდი და მკვრივად ნაგები შენობაა. ქუჩის პირს რომ გაუსწორდეს, ამიტომ იგი უკან უნდა გადაიდგას; ჩვენი სახლისათვის ახალი საძირკველი უკვე გამზადებულია.

ნოდარმა გაოცებით შეხედა მამას:

— მაინც ხომ უნდა დაინგრეს?

— არ დაინგრევა!—უპასუხა მამამ.

— როდის გადაიტანენ?

—ამაღამ!

ნოდარი მაშინვე გიგლასთან გაჩნდა:

— გიგლა, ამაღამ უნდა ვნახოთ როგორ გადაიტანენ ჩვენს სახლს; ფხიზლად იყავი. როდესაც ყველა დაიძინებს, მე კარზე დაგიკაკუნებ, გესმის?

— მესმის!—უპასუხა გიგლამ.

დაღამდა.

ნოდარი მოუთმენლად ელოდა როდის დააძინებდა დედა ნანას. და თვითონაც დაწვებოდა.

— ნოდარ, ჩემი ფერადი კუბიკებისაგან მაღალი კოშკები ამიშენე.—შეეხვეწა ნანა ძმას.

ნოდარი გულმოდგინეთ შეუდგა კოშკების შენებას.—იქნებ დრომ ჩქარა გაირბინოსო.

— აბა, ახლა დიდი სახლი ამიშენე! — სთხოვა ნანამ.

ნოდარმა ერთი შებერვით დაანგრია კოშკები და თხუთმეტსართულიანი შენობა წამოჭიმა. ნანას ეშინია იმოძრაოს, იხტუნოს, — ვაი თუ კუბიკების შენობა დაინგრესო.

ცოტა ხნის შემდეგ დედამ ნანა დასაძინებლად წაიყვანა.

— ნოდარ, ახე დატოვე, არ დაანგრიო, ეს ძალიან ლამაზი სახლია. — სთხოვა ნანამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინია, არ დავანგრევ! — შეჰპირდა ნოდარი და ფანჯრიდან გადაიხედა. სახლის გარშემო ელავდნენ ელნათურები და პროჟექტორები. კვლავ ისმოდა ავწევი მანქანების გუგუნი.

— ნოდარ, დაწექი, შვილო, შენც დაიძინე! — დაუძახა დედამ.

ნოდარი ტანგაუხდელი ჩაწვა ლოგინში და თვალები დახუჭა. ცოტახნის შემდეგ წამოხტა. უხმაუროდ გამოაღო კარები და გიგლას კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

გიგლა სწრაფად გამოვიდა და ნოდარს ჩასჩურჩულა:

— დედას და მამას არ სძინავთ, ძლივს გამოვეპარე. გავიქცეთ!

ბავშვები სირბილით დაეშვნენ კიბეზე. ქუჩაში გასასვლელ ჭიშკარს მიადგნენ. ჭიშკარი დაკეტილი აღმოჩნდა.

— სარდაფში ჩავიპაროთ, იქიდან ეზოში ასასვლელ კიბიდან გავალთ!—მოაგონდა გიგლას.

სარდაფის კიბეებზე ბავშვები შედგნენ: კიბე გადაჭრილი იყო. ქვევით ჩასასვლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი გზა— მოკვეთილი. ხოლო, ძირს, სარდაფის იატაკი დღესავით გაენათებინათ.

— ბიჭოს, ამას რას ეხედავ, ჩვენი სახლისათვის საძირკველი გამოუცლიათ, — წამოიძახა გიგლამ.

— ეს როგორ მოხდა? — ჩაილაპარაკა ნოდარმა,— შენ გაიგე რაიმე?

— არაფერი გამიგია. სახლი არც კი განძრეულა!

საძირკველს მოშორებული სახლი ამწევებზე იდგა,—სწორედ ისე, როგორც შოფერი შეუდგამს ხოლმე დომკრატს მანქანას ბორბალის გამოღების დროს. სახლის ქვეშ რკინის მაგარი კოჭები შეეცურებინათ.

— ბიჭო, ნოდარ, სახლი, ჩვენი სახლი დაიძრა! — წამოიყვირა უცბად გიგლამ და რკინის მოაჯირს ჩაებღაუჭა.

სახლი შეუმჩნევლად და მძიმედ შორდებოდა საძირკველს. ბავშვები ისე გაიტაცა ამ გასაოცარმა სინამდვილემ რომ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გაირბინა დრომ. კარგა ხნის შემდეგ სახლმა თავის ახალ საძირკველს მიაღწია და შეჩერდა. ძრავებმა გუგუნს მოუკლეს.

— შეჩერდა! — ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

—აბა, გიგლა, გადმობრძანდი, მოვედით!—გათამამდა ნოდარი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა: — ვაშა!

—ვაშა! — შესძახა გახარებულმა გიგლამაც.

მეორე დილით ნოდარი საწოლიდან სწრაფად წამოხტა და ღია ფანჯარას ეცა: მათი სახლის წინა კედელი სწორედ ქუჩის პირს უსწორდებოდა, ძირს სწორი და განიერი ქუჩა გაშლილიყო.

— ნოდარ, ახლა სხვა კოშკი ამიშენე. — ტიტინებდა ნანა.

ნოდარმა მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ის ლამაზი და მაღალი შენობა, რომელიც წუხელ ნანას ფერადი კუბიკებისაგან აუშენა, იმ ღამეს ოდნავადაც კი არ შერხეულიყო.

მერცხლები

გაუმართავთ მერცხლებს კრება,
დგას ზაფხულის მშვიდი დარი,
ჭიკჭიკებენ, ყლურტუღებენ
მავთულებზე შემომსხდარნი.

მათი ხმა და ჟრიამული
მთელ ქუჩაზე მოფენილა,
უხარიათ,—აყვავებულ
სამშობლოში მოფრენილან.

ერთი ამბობს: „ეს ქვეყანა,
მშობლიური ჩვენი მხარე
სულ არა ჰგავს იმ მხარეებს,
ჩვენ რომ ფრენით მოვიარეთ.

აქ ანგრევენ ძველ შენობებს,
რომ ახალი ააშენონ,
რომ ქვეყანა დიდებული
გახადონ და დაამშვენონ...

მაგრამ ჩვენი ბუდეები
იმ დანგრეულ სახლებს გაჰყვა
და იქ ვისაც ბინა ჰქონდა,
წელს შეჰხარის ბუდეს ახალს.

სხვა მერცხლებმაც ჩვენ მოგვბაძონ,
გადავწყვიტოთ, მოდი, ასე:
მომავალში, ყველამ ბინა
გაიკეთოს ახალ სახლზე“.

არჩილ სულაკაური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როსტომ ელანიძე

ნახატები ი. გაბაშვილისა

ირმიხტუჩა

გივი და მისი ამხანაგები ერთხელ ტყეში მარწყვის საკრეფად წავიდნენ. იქ ერთი კაცი შეხვდათ; მან ბავშვები რომ დაინახა, მიუახლოვდა, თავისი მოკრეფილი სოკოები უჩვენა და ჰკითხა: თქვენს სოფელში რომელ სოკოს რას ეძახიანო!

ბავშვებმა სოკოები შეათვალიერეს, მერე ერთიმეორეს გადახედეს; გივიმ სოკოების სახელები თამამად ჩამოთვალა. შემდეგ ერთი სოკო აიღო და მის შესახებ ასეთი ზღაპარი მოუთხრო:

„თურმე, დიდი ხნის წინათ, ტყეში იმდენი სოკო ამოვიდა, რომ იქაურობა აჭრელდა, რანაირს მოიკითხავდი რომ არა ყოფილიყო: ზოგი ქოლგასა ჰგავდა, ზოგი — ქუდს, ზოგი თეფშივით იდგა თავის ღეროზე და შიგ წვიმის წყალი ჩამდგარიყო, ზოგიც თივის ზვინივით აწოწოლავებულიყო; ერთგან ისეთი სოკოც ამოვიდა, რომ ჯერ არავის ენახა; მიწიდან პირი ამოჰყო თუ არა, იქვე მახლობლად ხმელი ტოტი გატყდა, ტყე ახმაურდა, სოკოებს შეეშინდათ და გაინაბნენ, ახალამოსულმა სოკომ კი ვერაფერი გაიგო, მთლად არც კი ამოეხედა, თავზე ჯერ ისევ მიწის ნაფხვენები ეყარა.

ცოტახნის შემდეგ ვიღაცამ წამოიძახა: ფრთხილად! ჩვენსკენ ირემი მოდის, ფეხი არავის დაგადგათო; მართლაც ირემი მოდიოდა, უკან ახალფეხადგმული ნუკრი მოჰყვებოდა, ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებოდა და თან დედას ეკითხებოდა: დედა, ეს რა არის, რატომ არის ასეთი, ამას რა ჰქვია, ეს მცენარე იჭმებაო? ხან პირს წაატანდა სოკოს, ხან დაყნოსავდა; ნუკრის შეკითხვაზე იცინოდნენ ყვავილები, ჩურჩულებდნენ ფოთლები და ბალახები. თანაც აქეთ-იქიდან ეძახდნენ: ჩვენთან მოდი, აქეთ მოირბინეო.

ნუკრმა ახალამოსული სოკო შეამჩნია, ძალიან მოეწონა და იმისაკენ წავიდა. დედამ გააფრთხილა ნუკრი: ესენი სოკოებია, იცოდე ბევრი მათგანი შხამიანია, ახლოს არ მიეკაროო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9828

სოკოებს ეწყინათ, ირემმა რომ მათზე ასე თქვა და ერთმანეთს უთხრეს: მოდი, ამ წუნია ირემს ფერი ვაცვლევინოთ, მის შვილს ახალამოსული სოკო შევაჭამოთ, იქნებ, მართლა შხამიანიაო. ნუკრს აქეთ-იქიდან წასჩურჩულეს: აბა, ეს სოკო გასინჯე, ისეთი გემრიელია, რომ რძესა სჯობიაო.

ნუკრს მეტიც არ უნდოდა, ჩაავლო იმ სოკოს პირი, ის იყო უნდა ჩაეკბიჩა, რომ ამ დროს დედამ თვალი შეასწრო და გააშვებინა. ნუკრმა დედას დაუჯერა და უცნაური სოკო არ შეჭამა.

ის სოკო, ცოტა რომ წამოიზარდა, სულ მთლად ირმის ტუჩებს დაემსგავსა, ამის გამო ირმისტუჩა დაარქვეს".

გივიმ დაამთავრა ზღაპარი. იმ კაცმა გასინჯა ირმისტუჩა და თქვა:

— ნამდვილად ირმის ტუჩებსა ჰგავს!

ბავშვებს მადლობა გადაუხადა და დაემშვიდობა.

ერთხელ გივიმ ფოსტით გამოგზავნილი ახალი წიგნი მიიღო. წიგნის პირველ გვერდზე ეწერა: „სახსოვრად პატარა მეგობარს გივის— ავტორისაგან". გივის გაუკვირდა: ვისი გამოგზავნილი უნდა იყოსო,— გაიფიქრა. წიგნი აჩქარებით გადაფურცლა; მეორე გვერდზე ტყე და სოკოები ეხატა და დიდი, ლამაზი ასოებით ეწერა: „ზვინა სოკო". ნახატის ქვემოთ აღწერილი იყო ამ სოკოს თვისებები. ბოლოში ასე ეწერა: ბავშვებო, ეს სოკო შხამიანია!

მესამე გვერდზე ირმისტუჩა სოკოები იცნო. ვეება წიფლის ქვეშ იყვნენ ჩამწკრივებულნი, მათკენ ირემი და ნუკრი მიდიოდნენ. იქვე მათი ზღაპარი ეწერა, სიტყვასიტყვით ისე, როგორც გივიმ იცოდა. ბოლოში ხაზს ქვემოთ ეწერა: „ჩაგვაწერინა გივი ბადრიძემ". გივის ახლალა გაახსენდა ტყეში უცნობ კაცთან შეხვედრის ამბავი. უზომოდ გაუხარდა, რომ მისი საყვარელი ზღაპარი წიგნში დაებეჭდათ.

ნაჩუქარი წიგნით სკოლისაკენ გაიქცა. მასწავლებელმა, როცა გივის წიგნი ნახა, მიულოცა და უთხრა: ამ წიგნის დამწერი ცნობილი ქართველი მეცნიერია, შენ რომ სოკოების სახელი გცოდნია და ირმისტუჩას ზღაპარი გიამბნია, ამით ჩვენც გვასახელე. ხედავ, ცოდნა რა კარგი ყოფილაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა

მწყემსი თანდილა

ჩვენს მახლობლად, სოფელში
ცხოვრობს ბიჭი თანდილა.
შარშანს აქეთ თანდილა
უკვე დიდი გაზრდილა!
დადის სოფლის სკოლაში,
ეხმარება მამასა.
დროზე სწავლობს გაკვეთილს,
ასწრებს ბურთის თამაშსაც.
ხან წყაროს წყალს მოიტანს,
ხან დას ეთამაშება,
ტყეში მარტოც კი ნახეს
ჩვენი სკოლის ბავშვებმა.
ზურგით შეშა მოჰქონდა,
საამისო დროც ჰქონდა.
ერთი სიტყვით, თანდილა
უკვე დიდი გაზრდილა.

* * *

როცა დადგა ზაფხული,
სკოლამ კარი დახურა.—
თანდიმ ქუდი მოიგდო
გვერდზე,კოხტად, კახურად;
კოლექტივში მივიდა,
ნდობა დაიმსახურა.
ჩააბარეს ხბოები,
ჩააბარეს ზაქები.
კოლექტივში ნაქები,—
უთხრეს: მოუარეო.
მწყემსი გახდა თანდილა,
მართლაც დიდი გაზრდილა!..
უფრო ადრე დგება
საქმეს ეშურება.
სახუმარო როდია,
თუმც პატარა ჯოგია,
უნდა მოუაროს,
უნდა აბალახოს.
კოლექტივმა ნახოს
მისი ფხა და უნარი,
რა აქვს დასაწუნარი?!
თანდა ძლიერ მარჯვეა,
ყოჩაღი და გამრჯეა,
კოლექტივის ხბოებს,
კოლექტივის ზაქებს,
თავს ევლება თანდა,
უვლის, აბალახებს.

ილია სიხარულიძე

ნაძვი პაწაწინა

დიდ ნაძვის ქვეშ ამოსულა
ნაძვი პაწაწინა;
დედის კალთას შეჰფარვია,
დგას წყნარად და სძინავს.
ლამით მთვარე თავს დაჰნათის,
მთვარე შუქციმციმა;
ხან შხაპუნით გადაუვლის
წვეთკამკამა წვიმა!
სიო წიწვებს რომ შეურხევს
გაილვიძებს მაშინ.
საყვარელი ნანა ესმის
ტყის შრიალის ხმაში.
გაილვიძებს და დედიკოს
ლხენით აპყრობს თვალებს,
ტოტებს უწვდის მაღლა, ზევით,
გაზრდა უნდა მალე!
მის რტოებში სიხალისე,
გაზაფხული ბრწყინავს.
დიდ ნაძვის ქვეშ ამოსულა
ნაძვი პაწაწინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანქანები

მანქანები მხოლოდ ქარხანაში და ქუჩაში კი არ გვხვდებიან. შენ სახლშიც გაქვს მანქანები. ისინი ადამიანისათვის ძლიერ საჭირონი არიან. ყველაზე საჭირო კი საათია.

უსაათოდ ძნელი იქნებოდა ცხოვრება. სკოლაში, კინოში და თეატრში დაგაგვიანდებოდა. ან დროზე ადრე მიხვიდოდი, და ცდა მოგიხდებოდა. უსაათოდ წესრიგი არ იქნებოდა არც ქუჩაში, არც ქარხანაში, არც რკინიგზაზე.

საათის გამოზომილ ტიკტიკში მიმდინარეობს მთელი ჩვენი ცხოვრება. იღვიძებ, როცა დიდი მაღვიძარა საათი „ადექით" —დაიწკარუნებს. შენ უკვე გძინავს, როცა რადიო კრემლის კოშკიდან საათის საზეიმო რეკვას გადმოსცემს.

როცა რომელიმე მანქანას დაინახავ ყოველთვის იკითხავ: როგორ არის მოწყობილი იგი. საათის მოწყობილობის შესახებ შენივე სათამაშო ავტომობილი მოგიყვება. სათამაშო ავტომობილს ძრავის ნაცვლად ლითონის ზამბარა აქვს. საათიც ზამბარით მუშაობს, მასაც მომართვა სჭირდება სათამაშო ავტომობილივით. ჯიუტია ზამბარა, შენ ახვევ,—ის კი იმართება. გამართვის დროს პატარა ბორბალს აბრუნებს, ბორბალი თავის მხრივ საათის ისრებს აბრუნებს. ისრები კი საათსა და წუთებს გვიჩვენებენ.

აი, კიდევ, მეორე—შენთვის საყვარელი საკერავი მანქანა. ალბათ არა ერთხელ ჩაგძინებია მის აჩქარებულ ტიკტიკში, და დილით საყვარელი დედის მიერ შეკერილ ახალ ტანსაცმელს გაუხარებიხარ; ხელითა და ნემსით რომ ეკერნა, ასე მალე ვერ გაგახარებდა.

მანქანა ადამიანის თანაშემწეა. საკერავი მანქანით ადვილია კერვა, თუ საამისო ჩვევა და ცოდნა გაქვს. მისი გამოგონება კი არც ისე ადვილი იყო.

ფ. სეგალისა და შ. ილინის მოთხრობის მიხედვით.

ვთხოვოთ დედას, — გააღოს საკერავი მანქანა და შიგ ჩაგვახედოს:

შიგ ათასგვარი ბერკეტებია. როცა სახელურს ატრიალებ, ეს ბერკეტები ფოლადის პატარა ხელებივით და თითებივით მოძრაობენ. ყველაზე საინტერესო, მოელვარე მაქო არის. ფოლადის თითები მას წინ და უკან დაატარებენ. მაქოში ძაფია დახვეული. ნემსი და მაქო ისე სწრაფად და შეთანხმებულად მუშაობენ, რომ ძნელია თვალი შეასწრო, როგორ იკერება ქსოვილი. ნემსი ერთ წამში ათჯერ გასჩხვლეტს ხოლმე ქსოვილს და ათ გვირისტს გაავლებს ზედ.

ახლა ოთახიდან კიბეზე გავიდეთ. აქაც გვაქვს ერთი საინტერესო მანქანა. — მას ლიფტს უწოდებენ.

შენ ძლიერ გიხარია ხოლმე, როცა მამა ხელში აგიყვანს და მაღლა აგწევს. შენ შეგიძლია, თუ არა, მამაშენის აყვა-

ნა?! არ შეგიძლია! სულ ზედა სართულზე კი ექვსი წლის გოგონა ცხოვრობს. მას, შეუძლია მიწიდან ძლიერ მაღლა აიყვანოს მამამისი.

როცა გოგონა და მამა სეირნობის შემდეგ სახლში ბრუნდებიან, ისინი კიბეებით როდი ადიან. პირველ სართულზე პატარა ოთახში შევლენ და სკამზე ჩამოსხდებიან. გოგონა დააჭერს, ღილს თითს და ოთახი ნელ-ნელა ზევით დაიწყებს ასვლას.

ასე აჰყავს მერვე სართულზე გოგონას თავისი თავიც და მამამისიც. იმ მანქანას რომელსაც მრავალსართულიან სახლში ადამიანები აჰყავს და ჩამოჰყავს, ლიფტი ეწოდება.

აი, ამით არიან მანქანები ადამიანის თანაშემწეები. კიდევ ბევრი მანქანებია ჩვენს ქვეყანაში. სხვა მანქანებზე შემდეგ ვისაუბროთ.



ანა ხახუბაშვილი

შერიგდნენ

ეზოში ბავშვები დამალობანას თამაშობდნენ. ერთმანეთთან გაბუტული ქეთო და მარინე ამ მოთამაშე ჯგუფში იყვნენ. მარინემ ბავშვების ვიწრო წრე გააკეთა და ზაფსულში სოფლად გაგონილი გათვლა დაიწყო:

— იწილო-ბიწილო, შროშანო, გვრიტინო, შენი ფეხი ფეხმანდუკი, აბდა-უბდა გადასკუპდა, მეფევ, ჩაჯექ!

მარინე თითოეულ ამხანაგს გულზე ხელს ადებდა და ვისზედაც ბოლო სიტყვა გათავდებოდა, დასამალავად წრიდან ის გავიდოდა, სულ ბოლოში კენტად დარჩენილი ბავშვი იხუჭებოდა და თამაშიც აქედან იწყებოდა. ბავშვების გათვლა რომ დაიწყო და ჯერ ქეთოზე მიდგა, მარინე შეკრთა, არ იცოდა რა ექნა, გაბუტულ ქეთოსათვის გულზე ხელი როგორ დაედო; მაგრამ ქეთომ ისეთი მომცინარი თვალებით, ისეთი კეთილი სახით შეხედა, რომ მარინემ თავი ვეღარ შეიკავა, ქეთოს ჯერ გულზე ხელი დაადო და მერე მაგრად აკოცა.

გოგონები შერიგდნენ, მათი შერიგება ყველას გაეხარდა და თამაში უფრო მეტი ხალისით და მხიარულებით დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შაგბერაშვილი

ნახატი გ. როინიშვილისა

მაიას ყვავილები

პატარა მაია კარგი გოგონა იყო, მაგრამ ბოლო დროს ერთი ცუდი საქციელი დასჩემდა; საღამოხანი რომ მოაღწევდა, დიდედას გაეპარებოდა და მოზრდილ გოგო-ბიჭებში გაერეოდა, რომლებიც სოფლის მოედანზე თამაშობდნენ.

მის ტოლებს უკვე ღრმა ძილით ეძინათ, მაია კი მოჟრიამულე უფროსებს ფეხებში ებლანდებოდა, ან მოედნის პირას გრძელ სკამზე ჩამომჯდარი ამთქნარებდა და შინ დაბრუნებაზე აღარ ფიქრობდა.

დიდედა მართა ეზოში მაიას რომ ვეღარ დაინახავდა, მოედნისკენ გაჯავრებული გაეშურებოდა და აცრემლებული შვილიშვილი ძალით მიჰყავდა შინ.

— არ მინდა, არ მინდა... არ მეძინება!—სლუკუნებდა მაია და ძილმორეული თვალები მოედნისკენ რჩებოდა.

— შვილო,—არიგებდა დიდედა მართა,—შეხედე, ჩიტმაც კი თავისი ბუდე იცის ამ დროს. მოსაღამოვდება თუ არა, ჩაიბუდებს.

მაია დიდედას დარიგებას ყურს არ უგდებდა, არც დერეფნის ერდოზე მიკრულ ბუდეს შეხედავდა, რომელშიც მთელი დღის ფრენით მოქანცული მერცხალი იჯდა. მერცხალს ფრთები გაეშალა, ბარტყებისთვის გადაეფარებინა, თავი მხრებში ჩაეძვრინა და მშვიდად ეძინა.

— არ მინდა, არ მინდა...აა... მე ხომ ჩიტი არა ვარ!—ისევ ჯიუტად ბუზღუნებდა მაია და ფეხებს ჭირვეულად აბარტყუნებდა. მთელი დღის თამაშითა და უძილობით მოქანცულ მაიას გვიან ჩაეძინებოდა და დილით მხოლოდ მაშინ გაიღვიძებდა, როცა მზე კარგად შეიმაღლებდა და მის ფანჯარას მოადგებოდა.

მზის სხივი თვალებში რომ შეუჭყიტინებდა, მაია მეორე მხარეს გადაბრუნდებოდა, ადგომა ეზარებოდა და დიდედა მართას გაჯავრებულ ძახილზე ახლა ასე ბუზღუნებდა:

— არ მინდა ადგომა, მეძინება...

დიდედა ხან ულიტინებდა, ხან სახეზე ცივ წყალს აპკურებდა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძლივძლივობით გამოაფხიზლებდა.

„რა ვქნა, როგორ მოვარჯულო ეს გოგო“ ფიქრობდა შეწუხებული დიდედა მართა და ყვავილნარში ამ გაზაფხულზე დარგულ ფერად-ფერადი ყვავილების კვალს სარწყულით რწყავდა. ამ ლამაზი ყვავილების თესლი დიდედას შარშან გამოუგზავნეს თბილისიდან.

დიდედას უცებ რაღაც აზრმა გაუელვა.

— იცი, თუ არა, რომ ეს ყვავილები მზის ჩასვლისთანავე იძინებენ და მზის ამოსვლისას იღვიძებენ? — ჰკითხა ყვავილნარში თვალების ფშვნეტით შემოსულ მაიას დიდედამ. მაიამ ეჭვით შეხედა დიდედას და უგულოდ უპასუხა:

— მატყუებ... ყვავილმა როგორ უნდა დაიძინოს?!

— კარგი, მაშ დღეს მზის ჩასვლისას ვნახოთ! — ღიმილით უპასუხა დიდედამ.

მთელი დღე მაიამ მოუსვენრად გაატარა. ის ყვავილნარს არ მოცილებია, იჯდა და ყურადღებით ათვალიერებდა წითლად, ყვითლად და იისფრად გაფურჩქნულ სიფრიფანა ყვავილებს, რომლებიც ბრწყინვალე მზეს ლამაზი თვალებით უცინოდნენ.

როგორც იქნა, დღე მიიწურა. მზე ჩავიდა. მაია ისევ ყვავილნარში იჯდა. ყვავილებმა სიფრიფანა ფურცლების შეკუმშვა იწყეს, თითქოს თვალებს ხუჭავდნენ და მზესთან ერთად საძილედ ემზადებოდნენ. თანდათან ფურცლები მწვანე პარკუჭებში დაიმალნენ და უცნაური ყვავილების კვალი მთლიანად გადამწვანდა.

გაოცებული მაია წამოხტა, დიდედასთან მიირბინა და ახარა:

— ბები, ყვავილებმა მართლაც დაიძინეს!

დიდედა ღიმილით შეჰყურებდა შვილიშვილს.

— როდის გაიღვიძებენ?

— ხვალ დილით, მზის ამოსვლისთანავე!

მაიამ ამ საღამოს ადრე დაიძინა. მოედანი აღარც გახსენებია. დილაადრიან ეზოდან დიდედას ხმა შემოესმა, თუ არა, მარდათ წამოხტა და კიბეზე ჩაირბინა.

მზე ახლად ამოდიოდა.

ყვავილების კვალი ჯერ ისევ მწვანედ მოჩანდა.

მზე მაღლა იწევდა და სითბოს აფრქვევდა ყვავილნარს.

მწვანე პარკუჭები შეუმჩნევლად ხსნიდნენ პირს. მწვანე კვალი თანდათან ფერადფერადი ყვავილებით ხალიჩასავით ჭრელდებოდა. უცნაური ყვავილები სიფრიფანა ფურცლებს ქუთუთოებსავით ახელდნენ და ღიმილით ეგებებოდნენ მზეს.

მაიამ შენიშნა, რომ მარტო ეს უცნაური ყვავილები კი არ ეგებებოდნენ ამომავალ მზეს. არა, მთელი ბუნება ზეიმობდა და ფერხულს უვლიდა. ტოროლა ცაში გალობდა, ფუტკრები ზუზუნით გამოდიოდნენ სკებიდან და ცაცხვის ყვავილს ეხვეოდნენ, მერცხალი ჟღურტულით დასდევდა მწერებს, მწყემსი ნახირს აგროვებდა და მის ძახილზე მთელი სოფელი ფეხზე დგებოდა. ყველას უხაროდა, ყველა მზეს შესცინოდა.

— განა შეიძლება, ამ დროს ადამიანს ეძინოს! — წამოიძახა მაიამ და დილის სუფთა ჰაერი ხარბად შეისუნთქა.

აივანზე დიდედა მართა გადმომდგარიყო და ღიმილით გადმოჰყურებდა ფერად-ფერადი ყვავილებით აჭრელებულ კვალს, რომელსაც შემდეგ მაიას ყვავილნარი დაარქვეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

მონადირე არჩილი

კვირა დღეა. არჩილ-ბიჭი
ტყისკენ მიდის მწევარით,
კუდქიცინა ყურქედანა
მისდევს მოუსვენარი.
თოვლში სტოვებს ნაფეხურებს,
ძაღლი ყნოსავს ბუჩქნარებს,
პატრონს გვერდზე გამოჰხედავს
და თან ნაბიჯს უჩქარებს.
შუადღეა. შუატყეში
ფეხაკრეფით მიდიან:
არჩილს ჩანთა ცარიელი
მხარზე გადუკიდია.
მაგრამ, ჰოი, საოცრებავ,
არსად მოჩანს მწევარი,
მხოლოდ მისი ყეფა ისმის,
ყეფა შეუსვენარი.
ეძებს. ძაღლი არსად მოჩანს,
მარტოოდენ ხმა ისმის,
ასე უცებ როგორ გაჰქრა,
საით გაჰქრა, არ იცის!
ხმა ზემოდან შემოესმის,
აიხედავს ყმაწვილი,
აიხედავს და რას ჰხედავს,
ძაღლს მიაფრენს არწივი...
ტყის გადალმა ღრუბლად მოჩანს
დათოვლილი მწვერვალი,
იქით უნდა გაეტაცა
არწივს მისი მწევარი.

წკავწკავებდა ძაღლი ცაში,
ჩამოჰყეფდა მაღლიდან,
არწივი კი კლდეებისკენ
მიტრიალდა, გაფრინდა.
ესვრის! ამ დროს, სწორედ ამ დროს
არ დააცდენს არჩილი, —
ძირს ტაატით წამოვიდა
ფრინველთ მეფე დაჭრილი.
გაზაფხულის ქუხილს ჰგავდა
ტყეში თოფის გავარდნა,
კლანჭებიდან გამოხსნილი
ძაღლი ჯაგში ჩავარდა.
ბიჭმა კოხტად დაუმიზნა
და მწევარი არ დაჭრა,
კლდეში კორტნას კუდქიცინა
სამუდამოდ გადარჩა.
ყურქედანამ გადამრჩენელს
გადარჩენა ახარა.
ფრინველთ მეფემ ნატყვიარი
მხარი შეაფართხალა...
ახლა რკინის გალიაში
ზის ფრთაშავი ბებერი,
და უყვება ზოოპარკში
ბავშვებს მასწავლებელი —
როგორ დაჭრა, დაიჭირა
მტაცებელი არჩილმა,
მონადირემ ყურქედანა
როგორ გადაარჩინა.

კ. გოგიაშვილი

ნახატები ი. გაბაშვილისა

მკვეხარები და ბულბული

ერთხელ, ტყეში, მთების მხარეს
თავი ერთად მოიყარეს:
ჩხიკვმა, შაშვმა, გვრიტმა, ყვავმა
და ოფოფმა ქოჩრიანმა.
ყველა ერთად პირს აღებდა,
ყველა თავის შვილს აქებდა.
მუხის ტოტზე ყვავი იჯდა
და ეჭირა თავი დინჯად;
ჩაეცინა:—ყვა, ყვა, ხა, ხა! —
და ძირს ასე ჩამოსძახა:
— დააკვირდით, ვინ სჯობს ამას,
ჩემს ბახალას, კოხტას, ლამაზს?!
აბა, ერთი, შეხეთ, შეხეთ
მაგის კოხტა ლამაზ ფეხებს,
მოგრძო კუდს და შავ-შავ თვალებს,
ალერსით რომ აბრიალებს.
შვენის გული ნაცრისფერი,
გაოცდებით ისე მღერის,
ერიდება აყალმაყალს,
თვითონ ამტვრევს თხილს და კაკალს.
შაშვმა, ეს რომ გაიგონა,
შვილი გულში ჩაიკონა,
თქვა: ამ ყვავმა დამღალაო,
რა ყოფილა ყრანატალაო!
მიტომ უთქვამთ: ყვავსაც მოსწონს
თურმე თავის ბახალაო.

მე ჩემს შვილზე ვერას ვიტყვი,
დავამთავრე ერთი სიტყვით!
ძირს ოფოფი დაგოგავდა,
გვერდით ერთი შვილი ჰყავდა,
ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან
ლამაზ ქოჩორს უვარცხნიდა.
გაიძახდა:—ვენაცვალე,
გამეზრდება შვილი მალე,
გაგაოცებთ ჩემი ბიჭი,
მისი ჭკუით, მისი ნიჭით;
თუ უეცრად დიდ ბალახში
თავს წაადგა ცელქი ბავშვი, —
იგი განა დალონდება,
ძირს გულალმა გაგორდება.
მტერს სრულებით არ უყურებს
და თავს ასე იმკვდარუნებს.
უყვარს ჭია, უყვარს მწერი;
„ოფ! ოფ! ოფ! ოფ!“ ასე მღერის. —
თქვა ოფოფმა ქოჩრიანმა.
გაიარა ცოტა ხანმა,
და ფოთლებში დამალულმა
იქ, ბულბულმა, განაბულმა
უცბად თავი ამოსწია,
დაუსტვინა: ტია, ტია!...
გაიოცა რაც ისმინა,
თურმე ველარ მოითმინა,
არ სჯეროდა რაც იქ ნახა
და მკვეხარებს ჩამოსძახა:
— არ შეგფერით ამდაგვარი
მოქცევა და საუბარი,
ანებივრებთ მეტად შვილებს,
არც თუ ისე კარგად ზრდილებს!
ეს გახსოვდეთ: მუდამ კარგებს
მისი საქმე თვითონ აქებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. გოგიაშვილი

ნახატები ი. გაბაშვილისა

მკვეხარები და ბულბული

ერთხელ, ტყეში, მთების მხარეს
თავი ერთად მოიყარეს:
ჩხიკვმა, შაშვმა, გვრიტმა, ყვავმა
და ოფოფმა ქოჩრიანმა.
ყველა ერთად პირს აღებდა,
ყველა თავის შვილს აქებდა.
მუხის ტოტზე ყვავი იჯდა
და იჭირა თავი დინჯად;
ჩაეცინა:—ყვა, ყვა, ხა, ხა! —
და ძირს ასე ჩამოსძახა:
— დააკვირდით, ვინ სჯობს ამას,
ჩემს ბახალას, კოხტას, ლამაზს?!
აბა, ერთი, შეხეთ, შეხეთ
მაგის კოხტა ლამაზ ფეხებს,
მოგრძო კუდს და შავ-შავ თვალებს,
ალერსით რომ აბრიალებს.
შვენის გული ნაცრისფერი,
გაოცდებით ისე მღერის,
ერიდება აყალმაყალს,
თვითონ ამტვრევს თხილს და კაკალს.
შაშვმა, ეს რომ გაიგონა,
შვილი გულში ჩაიკონა,
თქვა: ამ ყვავმა დამღალაო,
რა ყოფილა ყრანატალაო!
მიტომ უთქვამთ: ყვავსაც მოსწონს
თურმე თავის ბახალაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ჩემს შვილზე ვერას ვიტყვი,
დავამთავრე ერთი სიტყვით!
ძირს ოფოფი დაგოგავდა,
გვერდით ერთი შვილი ჰყავდა,
ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან
ლამაზ ქოჩორს უვარცხნიდა.
გაიძახდა:—ვენაცვალე,
გამეზრდება შვილი მალე,
გაგაოცებთ ჩემი ბიჭი,
მისი ჭკუით, მისი ნიჭით;
თუ უეცრად დიდ ბალახში
თავს წაადგა ცელქი ბავშვი, —
იგი განა დალონდება,
ძირს გულაღმა გაგორდება.
მტერს სრულებით არ უყურებს
და თავს ასე იმკვდარუნებს.
უყვარს ჭია, უყვარს მწერი;
„ოფ! ოფ! ოფ! ოფ!“ ასე მღერის. —
თქვა ოფოფმა ქოჩრიანმა.
გაიარა ცოტა ხანმა,
და ფოთლებში დამალულმა
იქ, ბულბულმა, განაბულმა
უცბად თავი ამოსწია,
დაუსტვინა: ტია, ტია!...
გაიოცა რაც ისმინა,
თურმე ველარ მოითმინა,
არ სჯეროდა რაც იქ ნახა
და მკვეხარებს ჩამოსძახა:
— არ შეგფერით ამდაგვარი
მოქცევა და საუბარი,
ანებივრებთ მეტად შვილებს,
არც თუ ისე კარგად ზრდილებს!
ეს გახსოვდეთ: მუდამ კარგებს
მისი საქმე თვითონ აქებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა
Gr. 24/135

თინათინ კვირკაია

კარუსელი

ლამაზ ბაღში დავტრიალებ,
ჩემს გარშემო ვერხვებია;
ბედნიერი პატარები
ფუტკრებივით მეხვევიან.

მოდით, მოდით, კუდრაპტემო,—
ამინდს კარგი პირი უჩანს;
გინდათ გედი აირჩიეთ,
ან თუ გნებავთ—მარდი ლურჯა.

ფეხს ავიდგამ, გავქანდები,
გაგაცინებთ, გაგახარებთ,
მალე ისევ იქ მიგიყვანთ,
საიდანაც გაგაქანეთ.

ლამაზ ბაღში დავტრიალებ,
ჩემს გარშემო ვერხვებია;
ბედნიერი პატარები
ფუტკრებივით მეხვევიან!

ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

ყდაზე: „სუვოროველები".—ნახატი შალვა ცხადაძისა

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 6 июнь. 1950 г. Тбилиси. Ленина 14.

გამომცემლობა „კომუნისტი". რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 III სართ.

გამოქვეყნების შეკვ. № 55 სტამბის შეკვ 1433/608 ტირაჟი 7000 უე 02514 ფასი 5 მან.

ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე. „ზარია ვოსტოკას" სტამბაში. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42